



საქართველო  
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.  
LAGODEKHI  
2700 GEORGIA  
LAGODEKHI MUNICIPALITY  
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000012909236919

№ 18-ი

05 / აპრილი / 2019 წ.

## განკარგულება

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია „კარგი მმართველობის“ თავმჯდომარის მოადგილის არჩილ როსფაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

#### მუხლი 1

საკრებულოს წევრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, 2019 წლის 5 აპრილიდან, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია „კარგი მმართველობის“ თავმჯდომარის მოადგილის, არჩილ როსფაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

#### მუხლი 2

აღნიშნული ინფორმაცია ეცნობოს სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს, ლაგოდეხის №15 საოლქო საარჩევნო კომისიას და მერიის საფინანსო სამსახურს.

#### მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

#### მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი:  
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელემენტარულად

კარლო ჯამბურია